ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0323101152-03
თარიღი: 11.04.2023 14:11
ვადა: 18.05.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231011716 განცხადების თარიღი: 11.04.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0323101152-03
11.04.2023 : 14:11
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01231011716**
თარიღი: **11/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენლებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, განმარტებით ბარათსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 10 აპრილის N23.508.588 განკარგულებას.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 23.508.588
10 / აპრილი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ემუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

წლის ----------

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“, დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“, დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის თებერვლის №37-14 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებს და თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომელთა რეგისტრაცია ან/და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით. გამონაკლისს წარმოადგენენ ის პირები/ოჯახები, რომელთა დაკმაყოფილება საცხოვრისით მოხდა პროექტის „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:

ა) განაცხადი – ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით დამტკიცებული განაცხადის ფორმები“ (შემდგომში – განაცხადი);

ბ) კომისია – ამ წესის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას“ (შემდგომში – კომისია) და ამტკიცებს მის დებულებას;

გ) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის მსურველი პირი, რომელმაც შეავსო განაცხადი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ“;

დ) უსახლკარო პირი - პირი, რომელიც აკმაყოფილებს უსალკარო პირად რეგისტრაციის პირობებს და თანახმაა ისარგებლოს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ მართვის ქვეშ მყოფი თავშესაფრით;

ე) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი (შემდგომში ოჯახი) – ამ წესის მიზნებისათვის ოჯახად მიიჩნევა ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომელთაც დროებითი საცხოვრებელი გააჩნიათ ერთ მისამართზე და/ან ერთობლივი განაცხადი წარმოადგინეს (ოჯახის შემადგენლობაში არ განიხილება პირი, რომელიც განხილვის მომენტში იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი, ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში), ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი, ასევე, სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი);

ვ) უსახლკარო ოჯახი – თბილისის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახი;

ზ) ბენეფიციარი – აღნიშნული წესის ფარგლებში თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი;

თ) თავშესაფარი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი;

ი) საცხოვრისი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული სოციალური საცხოვრისი;

კ) ოჯახის უმუშევარი წევრი – უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის სრულწლოვანი არასაპენსიო ასაკის წევრი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად;

ლ) სამსახური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდეგომში – სამსახური).

მუხლი 3. უსახლკარო პირად რეგისტაციის პირობები

1. უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს შესაძლებლობა აქვს მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმით და მოითხოვოს უსახლკარო პირად რეგისტრაცია.

2. უსახლკარო პირად რეგისტრაციის განაცხადს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ამოწმებს პირის შესაბამისობას შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტს;

ბ) საქართველოს მოქალაქეობას;

3. იმ შემთხვევაში, თუ პირის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით, პირს ეცნობება უარი უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე.

4. იმისათვის რომ პირმა მიიღოს უსახლკარო პირის სტატუსი აუცილებელია დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას, მონიშვნის ფორმით გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამსახური გამოსცემს ბრძანებას პირის უსახლკარო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რითაც განმცხადებელს უფლება ეძლევა ისარგებლოს თავშესაფრით.

6. პირის მიერ თავშესაფრის დატოვებისთანავე (როგორც საკუთარი ნებით, ისე დირექტორის გადაწყვეტილების საფუძვეზე) ან/და ახალი გარემოების გამოვლენისთანავე, პირს უუქმდება უსახლკარო პირის სტატუსი. დატოვების შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მოწოდება ხორციელდება თავშესაფრის მიერ.

მუხლი 4. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები

1. უსახლკარო ოჯახის სტატუსის მაძიებელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება;

გ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი;

დ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ დასტურდება ოჯახის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ან სხვა ფართის ქირის (იჯარის), კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში, უწყვეტად გადახდის ფაქტი;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთ წევრს არ გააჩნია საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, ხოლო მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის გათვალისწინებით;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და შესაბამისი საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახს არ გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში ოჯახი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის ან კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავალი არ აჭარბებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ქირის თანხის 6 თვის კომპენსაციას და ამავე პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმისათვის აუცილებელი თანხების ერთობლიობას;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 2 (ორი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება), გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლოშემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით;

თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის თითოეული უმუშევარი წევრი რეგისტრირებულია „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge.

2. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოებები:

ა) ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც ადასტურებენ ოჯახის შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით ან მის მიმართ მესამე პირის ვალდებულებას საცხოვრისით უზრუნველყოფაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ვალდებულების შესრულება სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი გარემოებების გამო შეუძლებელია);

ბ) თუ ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს/აკმაყოფილებენ ოჯახის მხოლოდ არასრულწლოვანი წევრ(ებ)ი;

გ) ნებისმიერი ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს ოჯახის მხრიდან არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და/ან დროებითი საცხოვრისის მისამართის, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შესახებ ინფორმაციის არმიწოდებას; დ) ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც ოჯახმა საცხოვრისის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის საფუძველი;

დ) უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის შესახებ შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას.

მუხლი 5. უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის განაცხადის განუხილველად დატოვების პირობები

განაცხადი არ განიხილება და განმცხადებლებს ეცნობებათ უარი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე, თუ:

ა) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის ყველა წევრი განაცხადის ფორმით კომისიისათვის მიმართვისას არ არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო ოჯახის წევრთა ნახევარი ან მეტი რეგისტრირებულია არ არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის, უსახლკაროდ რეგისტრაცია ან/და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 6. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის პროცედურა

1. ოჯახმა საცხოვრისით მიღების მიზნით, უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს კომისიას“ და წარუდგინოს განაცხადი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა) ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ)ოჯახის წევრთა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ)ოჯახი უფლებამოსილია წარმოადგინოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

2. განაცხადებს, თბილისის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, განიხილავს კომისია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ოჯახს გაეწიოს რეკომენდაცია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) ოჯახს არ გაეწიოს რეკომენდაცია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე.

3. ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე ან უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სამსახური, სამსახურის უფროსის ბრძანების სახით.

7. უსალკაროდ დარეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა

1. საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის კომისიის მიერ უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახისათვის ქულათა მინიჭების სისტემა:

ა) საცხოვრებელი პირობები – (1 -2 ქულა);

ბ) სხვა ფაქტობრივი გარემოებები – (1-2 ქულა);

გ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ი – 3 ქულა;

დ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ოჯახის წევრი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრი/წევრები,

რომელიც/რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მონაცემთა ბაზაში – 1 ქულა;

ე) მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი – 2 ქულა;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი და მისი არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი – 3 ქულა;

ზ) ოჯახი, რომელშიც 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვია – 3 ქულა;

თ) „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაჯილდოებული და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მქონე ოჯახის წევრი – 1 ქულა.

ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახი – 3 ქულა.

2. უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით).

3. რაიონისთვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით, თითოეულ რაიონში პირველ ეტაპზე ფართის მოძიების თაობაზე დაკავშირება ხდება უფრო მაღალი ქულის მქონე ოჯახებთან. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში აღნიშნული რეგულირდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში თუ ქულის მინიჭების თარიღიც იგივეა, აღნიშნული რეგულირდება განაცხადის შემოტანის თარიღით.

4. ფართის მოძიების შემდგომ, გამგეობა აყენებს შუამდგომლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

5. სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდგომ სააგენტო ახდენს ფართის შეძენას. ფართის შეძენის შემდეგ გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული ფართის ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისთვის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემის თაობაზე. პარალელურად, აცნობებს სამსახურს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თაობაზე.

6. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე.

7. ქონების სამსახურიდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე, ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

8. უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გასათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს 6 (ექვსი) კვადრატულ მეტრს.

9. ოჯახისთვის შეიძლება განხორციელდეს უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზებაც, რომელსაც ახორციელებს სამსახური.

10. ოჯახის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოჯახს უუქმდება სტატუსი და ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

11. ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

12. ის ოჯახები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით

დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფართან“ 3 (სამი) წლის ვადით.

13. საცხოვრისით სარგებლობის პირობები განისაზღვრება უსახლკარო ოჯახსა და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე „სოციალური საცხოვრისის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით“, რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი.

14. კომისია საჭიროებისამებრ (მაგრამ არაუგვიანეს საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლისა) ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა ბენეფიციარი ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას ბენეფიციარისათვის ხელშეკრულების 3 (სამი) წლის ვადით გაგრძელების ან არგაგრძელების შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

15. კომისია ახალი გარემოების გამოვლენისას უფლებამოსილია ოჯახს გაუუქმოს უსახლკარო ოჯახის სტატუსი.

16. სამსახური უზრუნველყოფს უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებისთვის.

მუხლი 8 . გარდამავალი დებულება

უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახებიდან პირველ რიგში კმაყოფილდებიან 2016-2021 წლებში უსახლკაროს სტატუს მინიჭებული ოჯახები ამავე წესის მე-7 მუხლში გაწერილი პროცედურის მიხედვით.

დანართი №2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ

განაცხადი

დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის დადგენილებით

ივსება განმცხადებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ		
სახელი:	გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი):
პირადი ნომერი: __ __ __ __ __ __ __ __ __ __ __	საკონტაქტო ტელეფონი:	გყავთ თუ არა ოჯახის წევრი? __ 1. დიახ __ 2. არა

ინფორმაცია განმცხადებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ		
1		
2		
ინფორმაცია განმცხადებლის შემოსავლების შესახებ		
1		
2		

პირის რეგისტრაციის მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:
1. ტელეფონი:			
პირის ფაქტობრივი მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	

ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:
1. ტელეფონი :			

პირის თანხმობა

თანახმა ვარ ვისარგებლო ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის დაქვემდებარებაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფრით.	კი	☐
	არა	☐

განმცხადებელის მოვალეობა

- განმცხადებელი ვალდებულია უტყუარი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მისი ოჯახური, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის, პერსონალურ და სხვა მონაცემებთან დაკავშირებით, აცნობოს კომისიას წარმოდგენილ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები და ხელი მოაწეროს შევსებულ განაცხადს. განსხვავებული აზრის არსებობისას წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

განმცხადებლის უფლება

- მოითხოვოს თავშესაფრით უზრუნველყოფა.

- გაეცნოს მის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას.
- მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა.

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ვადასტურებ, რომ არ არსებობს ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა გარემოებები, რომლებიც მომცემდნენ შესაძლებლობას უზრუნველყოფილი ვიყო თავშესაფრით.

გავეცანი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის ------- №---- დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს უსახლკაროდ რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და ვიღებ ვალდებულებას განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

თანახმა ვარ **(პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით)** უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის” მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს ჩემი ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი შესაძლო წყაროდან, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

_____	_____
ხელმოწერა	*თარიღი*

დანართი №3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ

განაცხადი

დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის დადგენილებით

ივსება განმცხადებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ		
სახელი:	გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): __ __ __ __ __ __ __ __
პირადი ნომერი: __ __ __ __ __ __ __ __ __ __ __	საკონტაქტო ტელეფონი:	გყავთ თუ არა ოჯახის წევრი? __ _ 1. დიახ __ _ 2. არა

ოჯახის წევრები (მაგ.: პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი)

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი რიცხვი, თვე, წელი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

ინფორმაცია ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ

№	

ინფორმაცია თქვენი და თქვენი ოჯახის წევრები შემოსავლების შესახებ				
№				
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

განმცხადებლის რეგისტრაციის მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:
1. ტელეფონი:			

ოჯახის ფაქტობრივი მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:

1. ტელეფონი :		

განმცხადებელის მოვალეობა

- განმცხადებელი ვალდებულია უტყუარი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მისი ოჯახური, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის, პერსონალურ და სხვა მონაცემებთან დაკავშირებით, აცნობოს კომისიას წარმოდგენილ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები და ოჯახის თითოეულმა წევრმა (კანონიერი წარმომადგენელი ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელი მოაწეროს შევსებულ განაცხადს. განსხვავებული აზრის არსებობისას წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

განმცხადებლის უფლება

• მოითხოვოს მისი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა .
• გაეცნოს მისი ოჯახის შესახებ შეგროვებულ ინ ფორმა ციას.
• მოითხოვოს მისი ოჯახის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილე ბების (შესწორებების) შეტანა .

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით .

ვადასტურებთ, რომ არ არსებობს ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა გარემოებები, რომლებიც მოგვცემდნენ შესაძლებლობას უზრუნველყოფილი ვიყოთ საცხოვრისით.

გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის ------- №---- დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს უსახლკაროდ რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და ვიღებთ ვალდებულებას განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

თანახმა ვართ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით) უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის” მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი შესაძლო წყაროდან, რასაც ვადასტურებ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ხელმოწერებით.

№	სახელი	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
1				
2				
3				

4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

წლის ----------

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“, დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“, დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12

თებერვლის №37-14 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებს და თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომელთა რეგისტრაცია ან/და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით. გამონაკლისს წარმოადგენენ ის პირები/ოჯახები, რომელთა დაკმაყოფილება საცხოვრისით მოხდა პროექტის „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:

ა) განაცხადი – ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით დამტკიცებული განაცხადის ფორმები“ (შემდგომში – განაცხადი);

ბ) კომისია – ამ წესის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

ქმნის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას“ (შემდგომში – კომისია) და ამტკიცებს მის დებულებას;

გ) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის მსურველი პირი, რომელმაც შეავსო განაცხადი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ“;

დ) უსახლკარო პირი - პირი, რომელიც აკმაყოფილებს უსალკარო პირად რეგისტრაციის პირობებს და თანახმაა ისარგებლოს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ მართვის ქვეშ მყოფი თავშესაფრით;

ე) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი (შემდგომში ოჯახი) – ამ წესის მიზნებისათვის ოჯახად მიიჩნევა ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომელთაც დროებითი საცხოვრებელი გააჩნიათ ერთ მისამართზე და/ან ერთობლივი განაცხადი წარმოადგინეს (ოჯახის შემადგენლობაში არ განიხილება პირი, რომელიც განხილვის მომენტში იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი, ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში), ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი, ასევე, სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი);

ვ) უსახლკარო ოჯახი – თბილისის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახი;

ზ) ბენეფიციარი – აღნიშნული წესის ფარგლებში თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი;

თ) თავშესაფარი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი;

ი) საცხოვრისი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/კ: 406153111) მართვაში არსებული სოციალური საცხოვრისი;

კ) ოჯახის უმუშევარი წევრი – უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის სრულწლოვანი არასაპენსიო ასაკის წევრი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად;

ლ) სამსახური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდეგომში – სამსახური).

მუხლი 3. უსახლკარო პირად რეგისტაციის პირობები

1. უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს შესაძლებლობა აქვს მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმით და მოითხოვოს უსახლკარო პირად რეგისტრაცია.

2. უსახლკარო პირად რეგისტრაციის განაცხადს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ამოწმებს პირის შესაბამისობას შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტს;

ბ) საქართველოს მოქალაქეობას;

3. იმ შემთხვევაში, თუ პირის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით, პირს ეცნობება უარი უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე.

4. იმისათვის რომ პირმა მიიღოს უსახლკარო პირის სტატუსი აუცილებელია დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას, მონიშვნის ფორმით გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამსახური გამოსცემს ბრძანებას პირის უსახლკარო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რითაც განმცხადებელს უფლება ეძლევა ისარგებლოს თავშესაფრით.

6. პირის მიერ თავშესაფრის დატოვებისთანავე (როგორც საკუთარი ნებით, ისე დირექტორის გადაწყვეტილების საფუძვეზე) ან/და ახალი გარემოების გამოვლენისთანავე, პირს უუქმდება უსახლკარო პირის სტატუსი. დატოვების შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მოწოდება ხორციელდება თავშესაფრის მიერ.

მუხლი 4. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები

1. უსახლკარო ოჯახის სტატუსის მაძიებელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება;

გ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი;

დ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ დასტურდება ოჯახის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ან სხვა ფართის ქირის (იჯარის), კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში, უწყვეტად გადახდის ფაქტი;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,

კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთ წევრს არ გააჩნია საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, ხოლო მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის გათვალისწინებით;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და შესაბამისი საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახს არ გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში ოჯახი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის ან კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავალი არ აჭარბებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ქირის თანხის 6 თვის კომპენსაციას და ამავე პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმისათვის აუცილებელი თანხების ერთობლიობას;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 2 (ორი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება), გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლოშემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით;

თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის თითოეული უმუშევარი წევრი რეგისტრირებულია „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge.

2. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოებები:

ა) ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც ადასტურებენ ოჯახის შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით ან მის მიმართ მესამე პირის ვალდებულებას საცხოვრისით უზრუნველყოფაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ვალდებულების შესრულება სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი გარემოებების გამო შეუძლებელია);

ბ) თუ ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს/აკმაყოფილებენ ოჯახის მხოლოდ არასრულწლოვანი წევრ(ებ)ი;

გ) ნებისმიერი ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს ოჯახის მხრიდან არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და/ან დროებითი საცხოვრისის მისამართის, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შესახებ ინფორმაციის არმიწოდებას; დ) ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც ოჯახმა საცხოვრისის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის საფუძველი;

დ) უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის შესახებ შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას.

მუხლი 5. უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის განაცხადის განუხილველად დატოვების პირობები

განაცხადი არ განიხილება და განმცხადებლებს ეცნობებათ უარი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე, თუ:

ა) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის ყველა წევრი განაცხადის ფორმით კომისიისათვის მიმართვისას არ არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო ოჯახის წევრთა ნახევარი ან მეტი რეგისტრირებულია არ არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის, უსახლკაროდ რეგისტრაცია ან/და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 6. უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის პროცედურა

1. ოჯახმა საცხოვრისით მიღების მიზნით, უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს კომისიას“ და წარუდგინოს განაცხადი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა) ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ)ოჯახის წევრთა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ)ოჯახი უფლებამოსილია წარმოადგინოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

2. განაცხადებს, თბილისის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, განიხილავს კომისია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ოჯახს გაეწიოს რეკომენდაცია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) ოჯახს არ გაეწიოს რეკომენდაცია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე.

3. ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე ან უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სამსახური, სამსახურის უფროსის ბრძანების სახით.

7. უსალკაროდ დარეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა

1. საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის კომისიის მიერ უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახისათვის ქულათა მინიჭების სისტემა:

ა) საცხოვრებელი პირობები – (1 -2 ქულა);

ბ) სხვა ფაქტობრივი გარემოებები – (1-2 ქულა);

გ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ი – 3 ქულა;

დ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ოჯახის წევრი, საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრი/წევრები, რომელიც/რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მონაცემთა ბაზაში – 1 ქულა;

ე) მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი – 2 ქულა;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი და მისი არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი – 3 ქულა;

ზ) ოჯახი, რომელშიც 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვია – 3 ქულა;

თ) „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაჯილდოებული და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მქონე ოჯახის წევრი – 1 ქულა.

ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახი – 3 ქულა.

2. უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით).

3. რაიონისთვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით, თითოეულ რაიონში პირველ ეტაპზე ფართის მოძიების თაობაზე დაკავშირება ხდება უფრო მაღალი ქულის მქონე ოჯახებთან. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში აღნიშნული რეგულირდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, აღნიშნული რეგულირდება განაცხადის შემოტანის თარიღით.

4. ფართის მოძიების შემდგომ, გამგეობა აყენებს შუამდგომლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

5. სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდგომ სააგენტო ახდენს ფართის შეძენას. ფართის შეძენის შემდეგ გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული ფართის ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე. პარალელურად, აცნობებს სამსახურს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თაობაზე.

6. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე.

7. ქონების სამსახურიდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე, ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

8. უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გასათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს 6 (ექვსი) კვადრატულ მეტრს.

9. ოჯახისთვის შეიძლება განხორციელდეს უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზებაც, რომელსაც ახორციელებს სამსახური.

10. ოჯახის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოჯახს უუქმდება სტატუსი და ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

11. ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის საცხოვრისით

დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

12. ის ოჯახები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფართან“ 3 (სამი) წლის ვადით.

13. საცხოვრისით სარგებლობის პირობები განისაზღვრება უსახლკარო ოჯახსა და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე „სოციალური საცხოვრისის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით“, რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი.

14. კომისია საჭიროებისამებრ (მაგრამ არაუგვიანეს საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლისა) ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა ბენეფიციარი ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას ბენეფიციარისათვის ხელშეკრულების 3 (სამი) წლის ვადით გაგრძელების ან არგაგრძელების შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

15. კომისია ახალი გარემოების გამოვლენისას უფლებამოსილია ოჯახს გაუუქმოს უსახლკარო ოჯახის სტატუსი.

16. სამსახური უზრუნველყოფს უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებისთვის.

მუხლი 8 . გარდამავალი დებულება

უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახებიდან პირველ რიგში კმაყოფილდებიან 2016-2021 წლებში უსახლკაროს სტატუს მინიჭებული ოჯახები ამავე წესის მე-7 მუხლში გაწერილი პროცედურის მიხედვით.

დანართი №2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ

განაცხადი

დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის დადგენილებით

ივსება განმცხადებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ			
სახელი:		გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი):
პირადი ნომერი: __ __ __ __ __ __ __ __ __ __ __		საკონტაქტო ტელეფონი:	გყავთ თუ არა ოჯახის წევრი? __ 1. დიახ __ 2. არა
ინფორმაცია განმცხადებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ			
1			
2			
ინფორმაცია განმცხადებლის შემოსავლების შესახებ			
1			
2			
პირის რეგისტრაციის მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:
1. ტელეფონი:			
პირის ფაქტობრივი მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:

1. ტელეფონი :		

პირის თანხმობა

თანახმა ვარ ვისარგებლო ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის დაქვემდებარებაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფრით.	კი არა	☐ ☐

განმცხადებელის მოვალეობა

- განმცხადებელი ვალდებულია უტყუარი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მისი ოჯახური, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის, პერსონალურ და სხვა მონაცემებთან დაკავშირებით, აცნობოს კომისიას წარმოდგენილ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები და ხელი მოაწეროს შევსებულ განაცხადს. განსხვავებული აზრის არსებობისას წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

განმცხადებლის უფლება

- მოითხოვოს თავშესაფრით უზრუნველყოფა.

- გაეცნოს მის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას.
- მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა.

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ვადასტურებ, რომ არ არსებობს ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა გარემოებები, რომლებიც მომცემდნენ შესაძლებლობას უზრუნველყოფილი ვიყო თავშესაფრით.

გავეცანი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის ------- №---- დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს უსახლკაროდ რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და ვიღებ ვალდებულებას განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

თანახმა ვარ **(პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით)** უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის” მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს ჩემი ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი შესაძლო წყაროდან, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

_____ *ხელმოწერა*	_____ *თარიღი*

დანართი №3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ

განაცხადი

დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის დადგენილებით

ივსება განმცხადებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ		
სახელი:	გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვ __ __ __ __ __ __ __ __
პირადი ნომერი: __ __ __ __ __ __ __ __ __ __ __	საკონტაქტო ტელეფონი:	გყავთ თუ არა ოჯახის წევრი? __ _ 1. დიახ __ _

ოჯახის წევრები (მაგ.: პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრე
შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი)

№	**სახელი**	**გვარი**	**პირადი ნომერი**	**დაბადებ** **რიცხვი,**
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

ინფორმაცია ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ

№	

ინფორმაცია თქვენი და თქვენი ოჯახის წევრები შემოსავლების შესახებ				
№				
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

განმცხადებლის რეგისტრაციის მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:
1. ტელეფონი:			

ოჯახის ფაქტობრივი მისამართი			
ქალაქი:		სოფელი:	
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლი №:	კორპუსი:	ბინა №:

1. ტელეფონი :		

განმცხადებელის მოვალეობა

- განმცხადებელი ვალდებულია უტყუარი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მისი ოჯახური, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის, პერსონალურ და სხვა მონაცემებთან დაკავშირებით, აცნობოს კომისიას წარმოდგენილ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები და ოჯახის თითოეულმა წევრმა (კანონიერი წარმომადგენელი ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელი მოაწეროს შევსებულ განაცხადს. განსხვავებული აზრის არსებობისას წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

განმცხადებლის უფლება

• მოითხოვოს მისი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა .
• გაეცნოს მისი ოჯახის შესახებ შეგროვებულ ინ ფორმა ციას.
• მოითხოვოს მისი ოჯახის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილე ბების (შესწორებების) შეტანა .

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით .

ვადასტურებთ, რომ არ არსებობს ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა გარემოებები, რომლებიც მოგვცემდნენ შესაძლებლობას უზრუნველყოფილი ვიყოთ საცხოვრისით.

გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წლის ------- №---- დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს უსახლკაროდ რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და ვიღებთ ვალდებულებას განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

თანახმა ვართ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით) უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის” მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი შესაძლო წყაროდან, რასაც ვადასტურებ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ხელმოწერებით.

№	სახელი	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
1				
2				
3				

4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დადგენილების პროექტის თანახმად, მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი" და უსახლკაროდ რგისტრაციის მსურველი პირის განაცხადების ფორმები, დანართების სახით.

მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით ცალ-ცალკეა გაწერილია უსახლკარო პირად და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები. იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს უსახლკაროდ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაცია, საქართველოს მოქალაქეობა, ამასთან თუ პირის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა რეგულირდება სხვა კანონმდებლობით, პირს ეცნობება უარი უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე. იმისათვის რომ პირმა მიიღოს უსახლკარო პირის სტატუსი აუცილებელია დადგენილებით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას, მონიშვნის ფორმით გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი არ დარეგისტრირდება უსახლკაროდ.

პროექტში გაწერილია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები, სადაც მოქმედ წესთან შედარებით არაფერია შეცვლილი.

უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავ გარემოებებში დამატებულია, რომლის მიხედვითაც უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის შესახებ თუ შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას, ეს იქნება უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული ჩანაწერი მითითებული იყო განუხილველად დატოვების მუხლში და გადმოვიდა გამომრიცხავ გარემოებებში. წესში ასევე ცალკე მუხლადაა გაწერილი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის განაცხადის განუხილველად დატოვების პირობები. ასევე ცალკე მუხლადაა გამოტანილი უსახლკაროდ რეგისტრაციის პროცედურა, სადაც შინაარსობრივად არაფერია შეცვლილი.

მოქმედ წესთან შედარებით, წარმოდგენილ პროექტში კომისიის მიერ უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახისათვის ქულათა მინიჭების სისტემაში მითითებული მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ისათვის 2 ქულის ნაცვლად მითითებულია 3 ქულა.

მოქმედ წესთან შედარებით შეცვლილია უსახლკაროდ დარეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა, კერძოდ, უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით). თავის მხრივ, რაიონისათვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით, თითოეულ რაიონში პირველ ეტაპზე ფართის მოძიების თაობაზე დაკავშირება ხდება

უფრო მაღალი ქულის მქონე ოჯახებთან. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში აღნიშნული რეგულირდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, აღნიშნული რეგულირდება განაცხადის შემოტანის თარიღით. ფართის მოძიების შემდგომ, გამგეობა აყენებს შუამდგომლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე. სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდგომ სააგენტო ახდენს ფართის შეძენას. ფართის შეძენის შემდეგ გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული ფართის ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე. პარალელურად, აცნობებს სამსახურს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თაობაზე. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე. ქონების სამსახურიდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე, ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ოჯახისთვის შეიძლება განხორციელდეს უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზებაც, რომელსაც ახორციელებს სამსახური.

მოქმედი წესისაგან განსხვავებით დამატებულია გარდამავალი დებულების მე-8 მუხლი, კერძოდ, უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახებიდან პირველ რიგში კმაყოფილდებიან 2016-2021 წლებში უსახლკაროს სტატუს მინიჭებული ოჯახები ამავე წესის მე-7 მუხლში გაწერილი პროცედურის მიხედვით.

წარმოდგენილი პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.